ს. დარიანი

როგორი უნდა იყოს საქართველოს დემოკრატია?

საქართველოს დემოკრატია არის ნაწილი რუსეთის დემოკრატიისა. ეს უკანასკნელი ის რგოლია, რომელიც აერთებს მას მსოფლიო დემოკრატიასთან. ამიტომაც თავის ბუნების უღრმესი შინაარსით საქართველოს დემოკრატია სრულიად ერთვის მსოფლიო დემოკრატიას, ისე როგორც ლოღიკურად უმდაბლესი ცნება ერთვის უმაღლეს ცნებას. უმდაბლესი ლოღიკური ცნება (species) შეიცავს თავის შინაარსში უმაღლეს ცნებას (genus). ასე სწორედ საქართველოს დემოკრატიის შინაარსი ჰგულისხმობს მსოფლიო დემოკრატიის პრინციპებს. ყოველი პარტია, საქართველოში არსებული, რომელიც ეწინააღმდეგება მსოფლიო დემოკრატიას, უნდა იქმნეს აღიარებული როგორც არა-დემოკრატიული.

ეს არის ერთი მხარე საგნისა. მაგრამ სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს საქართველოს დემოკრატიის შინაარსზე, მის მიზნებზე და საშუალებებზე ამ მიზნების მისაღწევად, არ კმარა ის, რაც ითქვა საქართველოს და მსოფლიო დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულებაზე. საქართველოს დემოკრატია არ არის მხოლოდ ზოგადი ცნება. ის არ არის მხოლოდ განყენებულად შემეცნებული დემოკრატია. ის არსებობს (ან უნდა იარსებოს) რეალურად, ის არის (ან უნდა იქმნეს) კონკრეტი განხორციელება დემოკრატიისა საქართველოში.

ყოველი რეალობა არის ინდივიდუალობა. ინდივიდუალობას კი ჰქმნის დრო და სივრცე, როგორც გვასწავლიან გერმანელები. მაშასადამე, სწორი განსაზღვრა საქართველოს დემოკრატიისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდე-

საც ჩვენ ხელთ იქნება: 1) განსაზღვრა დემოკრატიზმის ზოგადი პრინციპის, 2) სწორი წარმოდგენა იმ თავისებურობაზე, რომელთან უხდება საქართველოში შეხლა ამ ზოგად პრინციპს. ეს თავისებურობა კი არის განსაკუთრებული (ინდივიდუალური, ე.ი. ამ ჟამს და ამ ადგილს მყოფი) თვისება საქართველოს ცხოვრებისა, რომლის საზღვრებში განხორციელებული უნდა იქნეს დემოკრატიული წესი. მოკლედ რომ ვსთქვათ, საქართველოს დემოკრატია არის დემოკრატია (gens) საქართველოს პირობებში (differentia specifica). ეს აზრი მარტივზე უმარტივესია და თუ მას ვასაბუთებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საუბედუროდ ეს უმარტივესი აზრი ავიწყდებოდა ხშირად ბევრს ჩვენს იდეალისტებს და ამის გამო მათი მოღვაწეობა სრულიადაც არ იყო დემოკრატიული.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარეობს შემდეგი აზრი: საქართველოს დემოკრატიის კონსტრუქცია სრულიად არ განისაზღვრება, მაგალითად, ინგლისელი ან გერმანელი დემოკრატიის აგებულობით. გერმანეთის დემოკრატია და საქართველოს დემოკრატია არიან ორი დამოუკიდებელი ერთი-მეორისაგან მცნებანი. როგორც არ შეიძლება ითქვას საქართველოს დემოკრატიაზე, რომ მისი მიხედვით უნდა განისაზღვროს გერმანეთის დემოკრატიის აგებულება, აგრედვე არ შეიძლება ითქვას ისიც, რომ გერმანეთის დემოკრატია უფრო ხნიერია, ის უფრო გამოცდილია ცხოვრებაში, მას მეტი მნიშვნელობა აქვს დედა-მიწის ზურგზე, მაგრამ ეს ოდნავადაც აღარ სცვლის მის ლოღიკურ მნიშვნელობას. მაშასადამე, ზემოხსენებული უპირატესობა გერმანულ დემოკრატიისა, როგორც შედეგი რეალურ ძალთა (rafio essendi), სრულიად არ სცვლის მისი შემეცნებითი დამოკი-

დებულებას საქართველოს დემოკრატიისადმი (rafio cognoscendi).

შემეცნების სფეროში გერმანული დემოკრატია და საქართველოს დემოკრატია არიან სრულიად სწორუფლებიანი ცნებანი, ისრე, როგორც, მაგალითად, სწორი უფლება აქვთ ლოღიკის საზღვრებში ამ ცნებათ: „უფროსი ძმა“, „უმცროსი ძმა“. როგორც უმცროსი ძმის აგებულება სრულიად არ ექვემდებარება ლოღიკურად უფროსი ძმის აგებულებას, ზეგავლენას და თუ მათ შორის არის რაიმე მსგავსება, ეს აიხსნება ორივეს დამოკიდებულობით ერთი და იმავე მიზეზისაგან - სწორედ ასეთივე იდეა საქართველოს დემოკრატიის სტრუქტურისა, იგი არ უნდა ექვემდებარებოდეს გერმანულ დემოკრატიის აგებულობას. თუ ეს ასე მოხდა, თუ საქართველოს დემოკრატიის იდეა დავუქვემდებარეთ, მაგალითად, გერმანელ დემოკრატიის იდეას, მაშინ ამ იდეის მიხედვით შექმნილი ორგანიზაცია იქნება ხელოვნური, ფუქსავატი, ცხოვრებასთან ყოველგვარ კავშირს მოკლებული, რომელიც დღეს თუ ხვალ გაჰქრება და დაუთმობს ადგილს ნამდვილ დემოკრატიას, რომელიც ბუნებრივად და ძალ-დაუტანებლად აღმოცენდება საქართველოს ნიადაგზე. ხელოვნურად შექმნილ დემოკრატიას არც კი შეიძლებას ეწოდოს დემოკრატიის სახელი, რადგანაც ასეთი „დემოკრატია“ ლოღიკურად ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპს, საქართველოს დემოკრატია იმიტომაც არის დემოკრატია საქართველოსი, რომ ის არ არის გერმანული დემოკრატია. ერთი ცნება რიცხავს მეორეს, რადგანაც ორივენი წარმოადგენენ ინდივიდუალობას, დემოკრატიის პრინციპის რეალ განსახიერებას.

რაში ღა შესდგება ეს პრინციპი? ამ საკითხზე სწორი და მასთან ერთად ამომწურავი პასუხის გაცემა, რა თქმა

უნდა, ძნელია. საზოგადოდ, მეცნიერება საზოგადოებაზე იმდენად რთულია, მისი დებულებები იმ ზომაზე შეუთანხმებელნი არიან ერთი მეორესთან, რომ ლოღიკური განსაზღვრა დემოკრატიზმისა, მეცნიერების დღევანდელ საფეხურზე, მოითხოვდა რამოდენიმე ფოლიანტებს. ამისათვის ამ მოკლე წერილში, ჩვენ იძულებული ვხდებით მეცნიერების წრიდან გადვიდეთ სხვა სფეროში, მაგალითად, პოეზიაში, რომელიც არკვევს ცნებებს ინტუიციის საშუალებით. დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საუკეთესო დახასიათებას თანამედროვე დემოკრატიისას ჩვენ გვაძლევს განთქმული გერმანელი მგოსანი ჰეინრიხ ჰეინე თავის ლექსში. აი ამ ლექსის ნაწყვეტი:

ახალი ლექსით სულ სხვა ჰანგებით,
სხვა ქვეყნადა მსურს თქვენი შეყვანა,
ძმებო, აქ უნდა ჩვენ დავამყაროთ
ტკბილ სანატრელი ცისა ქვეყანა.
ამიერიდან ადამის შვილი
მშიერ-მწყურვალი აღარ მოკვდება,
უძღომი კუჭი მუქთად რომ გაძღეს,
ძმებო, ფიცსა ვდებ, რომ არ მოხდება!

ამ ლექსის დედა აზრი გამოიხატება შემდეგ დებულებებში: ყველა ადამიანს აქვს თანასწორი უფლება ბედნიერებაზე ამ წუთი სოფელში. ზრუნვა საზოგადოების წევრთა თანასწორ ბედნიერებაზე უნდა იყოს მიზანი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა. ან და ძველს ფორმულას რომ მივმართოთ, უმეტესი ბედნიერება უმრავლეს ადამიანთათვის - აი რა მისწრაფება ახასიათებს დემოკრატიას. ის ორგანიზაცია, ის პარტია, რომელიც აღწევს ან მიესწრაფვის ამ მიზანს, არის ორგანიზაცია დემოკრატიული; ის რომელიც ეღობება წინ ასეთს მიზნის განხორციელებას, არის ორგანი-

ზაცია არა დემოკრატიული, რამდენადაც ეს შეეხება მიზანს. ასეთია ზოგადი ხასიათი დემოკრატიისა. ამ მოკლე წინადადებებში გამოიხატება განყენებული მიზანი ყოველგვარ დემოკრატიულ საზოგადოებისა. მაგრამ ეს მიზანი იმ ზომამდე განყენებულია, იმ ზომაზე ზოგადი ხასიათისაა, რომ ის არ იკმარებს პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ. საჭიროა, როგორც ზევით იყო ახსნილი, ამ ზოგადო მიზნის განკერძოება ემპირიული პირობების მიხედვით.

გერმანეთის დემოკრატია უფარდებს დემოკრატიის უმაღლეს პრინციპს გერმანეთის ცხოვრებას, ინგლისელი დემოკრატია უფარდებს მას ინგლისელ პირობებს, საქართველოს დემოკრატიამ უნდა შეუფარდოს ეს პრინციპი საქართველოს ცხოვრებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საქართველოს დემოკრატიის ბუნებრივი ზრდა. რომ ეს შეფარდება შესაძლებელი იყოს საჭიროა მტკიცე და ნათელი წარმოდგენა საქართველოს ცხოვრების შინაარსზე. ეს კი მოითხოვს ჩვენი ცხოვრების ემპირიული პირობების ზედმიწევნითი შესწავლას.

აქედან ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ: ყოველი ჭეშმარიტი დემოკრატია, დემოკრატია ბუნებრივად აღმოცენებული, დემოკრატია, რომელიც აღარ ჰღალატობს დემოკრატიზმის პრინციპს, უნდა იყოს ეროვნული დემოკრატია. კოსმოპოლიტური დემოკრატია არის წინააღმდეგობით სავსე მცნება. თუ ასეთი ჯგუფი რეალურად სადმე არსებობს, ის უნდა უსათუოდ დაიშალოს შინაგან წინააღმდეგობიდან. ვიცი, ეხლავე მიმითითებენ გერმანელ სოციალ-დემოკრატიაზე ჩემი აზრის გასაბათილებლად. მაგრამ აქ მხოლოდ გაუგებრობაა. გერმანელი სოციალ-დემოკრატია არის ეროვნული დემოკრატია გერმანეთისა, რადგანაც ის წარმოადგენს ზედმიწევნითი სწორ შე-

ფარდებას დემოკრატიზმისას გერმანეთის ცხოვრებასთან. როგორც ეროვნულ დემოკრატიას, გერმანელ სოციალ-დემოკრატიას თავის სამშობლოში მოელის დიადი მომავალი. ჩვენი თვალსაზრისით, სინდიკალისტები წარმოადგენენ ეროვნულ დემოკრატიას საფრანგეთის რესპუბლიკაში. სწორედ ამ თვალსაზრისით სოც. რევოლიუციონერები შეიძლება მეტის უფლებით, ვინემ სხვა რომელიმე პარტია, ჩავთვალოთ რუსეთის (ველიკოროსების) ეროვნულ პარტიათ. ამისდა მიხედვით ჭეშმარიტი დემოკრატია საქართველოში უნდა იყოს დემოკრატია ეროვნული.

რას უნდა ემსახურებოდეს საქართველოს ეროვნული დემოკრატია? პასუხი ამაზე უკვე გამომდინარეობს იმ განმარტებიდან, რომელიც ზევით იყო მოყვანილი: საქართველოს ეროვნული დემოკრატია ემსახურება ერთს მიზანს: როგორ მიანიჭოს უმეტესი ბედნიერება საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას, განურჩევლად ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა, სარწმუნოებისა, წოდებისა და სქესისა. აი მიზანი საქართველოს ეროვნული დემოკრატიისა. მხოლოდ ამ მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს სიტყვა „ეროვნული“. „ეროვნული“ ამ შემთხვევაში ნიშნავს „ხალხურს“. მეტი პედანტიზმი რომ გამოიჩინონ მოწინააღმდეგეებმა, შეიძლება პლეონაზმიც დაგვწამონ ასეთ სიტყვების ხმარებაში: „ეროვნული (ე.ი. ხალხური) დემოკრატია“. ყოველი დემოკრატია, თუ ის ჭეშმარიტია, არის მხოლოდ ხალხური, ე.ი. ეროვნული, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ძლიერ ხშირად დემოკრატიის სახელს ატარებენ ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც ნამდვილად კი აფერხებენ დემოკრატიული წესების შემოღებას. აი ამისათვის მხოლოდ შეგვიძლია შევურიგდეთ გამოთქმას „ეროვნული დემოკრატია“. ამ განმარ-

ტების მიხედვით სიტყვა „ეროვნული“ სინონიმია სიტყვისა „ჭეშმარიტი“.

ასეთია ძირითადი ხასიათი საქართველოს დემოკრატიისა. რა თქმა უნდა აქ აღნიშნულია მხოლოდ ელემენტარული ფორმულა ამ დემოკრატიისა. მისი ე.ი. ამ ფორმულის გავითარება იმ ზომაზე, რომ მას შეეძლოს პრაქტიკული ხელმძღვანელობა მოითხოვს მთელი ქართველი ინტელიგენციის მედგარ მუშაობას...

ს.დარიანი

„საქართველო“, 1918 წლის 4 იანვარი N 3

<u>საზოგადოებრივი აზრი</u>

აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტის (NDI) 2016 წლის ნოემბრის კვლევა

აშშ-ის ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის მორიგი კვლევა, რომელიც 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარდა, საკითხთა ფართო სპექტრის, მათ შორის საგარეო პოლიტიკის მიმართ რესპოდენტების განწყობებს აჩვენებს.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოკითხულთა 27%-მა განაცხადა, რომ ქვეყანა "არასწორი მიმართულებით" ვითარდება, რაც 2016 წლის ივნისის ანალოგიურ კვლევასთან (33%) შედარებით 6 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული - მარტში ეს მაჩვენებელი 39% იყო, 2015 წლის ნოემბერში 45%, ხოლო 2015 წლის აპრილში 37%.

ივნისთან შედარებით 7 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი და 32%-ს შეადგენს იმ რესპოდენტთა რა-

ოდენობა, ვინც თვლის, რომ ქვეყანა „სწორი“ მიმართულებით ვითარდება. ასევე, ივნისში არსებული 34%-დან ნოემბერში 36%-მდე მცირედით გაზრდილია მათი რიცხვი, ვისთვისაც „საქართველო საერთოდ არ იცვლება“.

რესპოდენტთა 56% ქართული ოცნების ოთხწლიანი მმართველობისა და ხელახლა არჩევის შემდეგ აცხადებს, რომ 2012 წლის ოქტომბრიდან ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „იგივე მდგომარეობაშია“. მხოლოდ 17% აღნიშნავს უკეთესობას, ხოლო 26% მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს.

გამოკითხულთა 33% ოპტიმისტურად არის განწყობილი, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს, 12% გაუარესებას ელის, ხოლო 38% ფიქრობს, რომ იგივე დარჩება - ასე ივნისში 44% ფიქრობდა, დადებითი მოლოდინი 26%-ს, უარყოფითი კი 10%-ს ჰქონდა.

ყველაზე აქტუალურ საკითხებს შორის დასაქმება (58%), ინფლაცია (38), სიღარიბე (30%), ტერიტორიული მთლიანობა (27%) და პენსიები (24%) დასახელდა - პრობლემური საკითხების ეს ხუთეული ბოლო წლებში არ შეცვლილა და სხვადასხვა თანამიმდევრობით იყო წარმოდგენილი წინა ანალოგიურ კვლევებშიც.

ივნისთან შედარებით 72%-ზე უცვლელი დარჩა იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც მხარს უჭერს ხელისუფლების გაცხადებულ მიზანს ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე - მარტში ეს მაჩვენებელი 77%-ს შეადგენდა. ევროკავშირისადმი დადებითი განწყობა ყველა ტიპის დასახლებებში მაღალია და ამ კუთხით გამონაკლისი, კვლევის თანახმად, მხოლოდ უმცირესობათა დასახელებებია 47%-იანი მაჩვენებლით (ივნისში 50%).

ევროკავშირისგან განსხვავებით, ივნისთან შედარებით 68%-დან 61%-მდეა შემცირებული იმ რესპოდენტების რაოდენობა, ვისთვისაც მისაღებია მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატოს წევრი. ამ მიზანს 25% ეწინააღმდეგება.

ამასთან, ნატოში გაწევრიანების მიმართ მხარდაჭერა ივნისში არსებული 47%-დან ნოემბერში 39%-მდე შემცირდა იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ცხოვრობენ.

კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა, 54%-მა (ივნისში - 48%; მარტში - 52%) უპასუხა „პროდასავლური, თუმცა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა რუსეთთან“.

ამავე კითხვას 18%-მა (ივნისში - 20%; მარტში - 16%) უპასუხა, რომ „პრორუსული, თუმცა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა ევროკავშირთან და ნატოსთან“.

რესპონდენტების 12%-მა, რაც სტატისტიკურად იგივეა რაც ივნისში, აირჩია პასუხი: „პროდასავლური“, ხოლო 9%-მა - „პრორუსული“, რაც 3 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი ივნისის შემდეგ.

კვლევის თანახმად, 53% ფიქრობს, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციით; 31%-ის აზრით კი მეტი სარგებელი იქნება, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების სანაცვლოდ, ქვეყანა უარს იტყვის ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე.

2017 წლის ოქტომბერში დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, რესპოდენტთა 49% აცხადებს, რომ ადგილობრივი მთავრობა მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორცი-

ელებს, 46% კი საპირისპირო პოზიციაზეა. ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს - საკრებულოებს, მერიებსა და გამგეობებს მმართველი პარტია ქართული ოცნება აკონტროლებს.

გამოკითხულთა 37% აცხადებს, რომ კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია საკრებულოს მუშაობით; 23% უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა, ხოლო 38%-ს არ აქვს პასუხი. მერიის მუშაობას 33% კმაყოფილებით აღნიშნავს, 27%-ს უარყოფითი პოზიცია აქვს, 40%-მა კი „არ იცის“.

თბილისში გამოკითხული რესპოდენტების 33% მერიის მუშაობით კმაყოფილია, 34% უკმაყოფილო და 33%-ს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია. ქუთაისის მერიას უფრო მეტი უკმაყოფილო (39%) ჰყავს, ვიდრე კმაყოფილი (36%). ბათუმში, ზუგდიდსა და ახალციხეში კი მერიის მუშაობით კმაყოფილი რესპოდენტები ჭარბობენ, თუმცა აქაც მაღალია მათი რიცხვი, ვისაც არ აქვს გამოკვეთილი პოზიცია.

კვლევა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა შვედეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით აწარმოა, რომლის ფარგლებშიც წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 3 141 რესპოდენტი გამოიკითხა. NDI-ის დაკვეთით ჩატარებული ამ კვლევის ცდომილების ზღვარი +/-1.8%-ს შეადგენს.

<u>საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში</u>

Freedom House: საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნად რჩება

Freedom House-ის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, საქართველო 2016 წელს მყიფე დემოკრატიული მონაპოვრის გასაძლიერებლად იბრძოდა, თუმცა ის მაინც „ნაწილობრივ თავისუფალ“ ქვეყნებს შორის რჩება. „თავისუფლება მსოფლიოში 2017 წელს“ იკვლევს სიტუაციას მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების კუთხით და ასახავს 2016 წელს განვითარებულ მოვლენებს.

თითოეულ ქვეყანას ან ტერიტორიას ენიჭება სტატუსი „თავისუფალი“, „ნაწილობრივ თავისუფალი“ ან „არა თავისუფალი“ პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიებში მიღებული ქულების მიხედვით 1–დან 7–მდე შკალაზე, სადაც 1 წარმოადგენს ყველაზე თავისუფალს, ხოლო 7 ყველაზე ნაკლებად თავისუფალს

ანგარიშის თანახმად, 2016 წელს პოლიტიკური უფლებების და სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიებში საქართველოს რეიტინგი უცვლელი დარჩა 3 ქულაზე; ქვეყანა კვლავ „არჩევითი დემოკრატიების“ კატეგორიაშია – ეს ის სტატუსია, რომელიც Freedom House-მა საქართველოს თავის 2009 წლის ანგარიშში ჩამოართვა 2008 წელს ჩატარებული საპარლამენტო და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების გამო. თუმცა, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მან საქართველო „არჩევითი დემოკრატიის“ კატეგორიაში 2013 წლის ანგარიშში კვლავ დააბრუნა.

Freedom House-მა განაცხადა, რომ ევრაზია, სადაც ანგარიშში საქართველოცაა გაერთიანებული, „გაყოფილი იყო უფრო ევროპისკენ ორიენტირებულ ნაწილსა და მკაცრ ავტოკრატიულ რეჟიმებს შორის“. „მაშინ როდესაც უკრაინა, საქართველო და მოლდოვა მყიფე დემოკრატიული მონაპოვრის გასაძლიერებლად იბრძოდნენ, რამდენიმე ლიდერმა აღმოსავლეთით ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვევლობის ფონზე საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებისკენ გადადგა ნაბიჯები“, – განაცხადა Freedom House-მა.

Freedom House-ის კვლევაში სეპარატისტული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ”სადავო ტერიტორიების” კატეგორიაში გადიან. წინა ანგარიშების მსგავსად, ცხინვალის რეგიონს „არა თავისუფალის,“ ხოლო აფხაზეთს „ნაწილობრივ თავისუფალის“ სტატუსი აქვთ მინიჭებული. პოლიტიკური უფლებების კატეგორიაში აფხაზეთს 4 ქულა აქვს და სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიაში – 5 ქულა; ხოლო სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს 7 ქულა აქვს პოლიტიკური უფლებების კატეგორიაში და 6 ქულა სამოქალაქო თავისუფლებების კატეგორიაში.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაუმჯობესდა

ამერიკული ორგანიზაცია Heritage Foundation - ის ყოველწლიური კვლევის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაუმჯობესდა და ის კვლავ „მეტწილად თავისუფალ“ ქვეყნებს შორის რჩება. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თანახმად, საქართვე-

ლოს მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებთ 3.4 პუნქტით გაიზარდა და ქვეყანა 76 ქულით მსოფლიოში მე-13, ხოლო ევროპაში მე-5 ადგილზეა.

კვლევაში, რომელიც 186 ქვეყანას მოიცავს, აღნიშნულია რომ საქართველოს ხელისუფლებამ ფისკალური დისციპლინის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯებით ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციაში „ძლიერი იმპულსი“ შეინარჩუნა. კვლევის მიხედვით „ღია საბაზრო პოლიტიკამ, რომელსაც თან ახლავს დაბალი საგადასახადო განაკვეთები და რეგულირების ეფექტურობა, ვაჭრობასა და ინვესტიციებს შეუწყო ხელი. კვლევის თანახმად, პოზიტიური მმაჩვენებლების მიუხედავად, მნიშვნელოვანია „უფრო ღრმა და სწრაფი“ ინსტიტუციური რეფორმები სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის ზრდისთვის, რაც მომავალში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს.

<u>ახალი წიგნები</u>

მიხეილ წერეთელი. საქართველო ილიას შემდეგ. სტატიების კრებული. რედაქტორი მალხაზ მაცაბერიძე. თბ., 2016 – 60 გვ.

კრებულში შედის მიხეილ წერეთლის მიერ ემიგრაციაში, სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილი პოლიტიკური შინაარსის წერილები და, ასევე, ამ პერიოდში გარდაცვლილი ცნობილი ქართველი მოღვაწეების ნეკროლოგები. ამ ტექსტებში მიხეილ წერეთელი აფასებს საქართველოს მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებას და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე აკეთებს სამომავლო დასკვნებს.

მიხეილ წერეთელი დიდი პიროვნება იყო. მას შეეძლო სხვების შეცდომებთან ერთად თავისი შეცდომების დანახვა და აღიარება. მას შეეძლო ასევე სამშობლოს წინაშე იმ ადამიანთა დამსახურებების აღიარება და დაფასება, რომელთაც წლების მანძილზე ებრძოდა როგორც პოლიტი-კურ მოწინააღმდეგეებს. მიხეილ წერეთელი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა თავისებურ გამოფხიზლებისა და შემობრუნების პუნქტად იქცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ეროვნულმა ტრაგედიამ არა მარტო ეროვნული ძალების დარაზმვა დააჩქარა, არამედ „გონს მოვიდა თვით ქართული მარქსიზმიც“, „დაიწყო აგრეთვე გამოყოფა ქართული მარქსიზმის წიაღითგან ქართული ეროვნული სოციალ-დემოკრატიისა“.

მიხეილ წერეთელი დაწვრილებით განიხილავს მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ მიმდინარეობებს, - „პოლიტიკურ დარაზმულობებს“, მათ შეცდომებსა და დამსახურებებს. ამ მიმოხილვას კი ამთავრებს სიტყვებით: „არც ერთი ჩვენი ძველი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა აღარ გამოდგება დღეს საფუძველ დანგრეული ქართველი ერისა და მისი სრულად შეცვლილი ცხოვრების აღდგენად და განახლებად, თუ თვით ერი ცოცხალი გადურჩა ამ მის უკანასკნელ ტრაგედიას“.

ამ სიტყვებს მიხეილ წერეთელი 1957 წელს წერდა. მაშინ მართლაც ძნელი იყო იმის თქმა, თუ როდის გახდებოდა შესაძლებელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მიხეილ წერეთელი საგანგე-

ბოდ მიმართავს ახალგაზრდობას, რომელმაც უნდა შეასრულოს „მისი მოვალეობა ერის წინაშე“, „უნდა დაიდგას ის მძიმე უღელი, რომელიც ჩვენ, მამებს აქამდე გვიზიდავს და ჩვენზე უწინ ჩვენ მამა-პაპათ“.

ეტიენ ბალიბარი. მარქსის ფილოსოფია. ფრანგულიდან თარგმანა ელენე ლადარიამ. თბილისი, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2016 – 256 გვ.

თბილისში 2016 წელს წიგნების მაღაზიებში გამოჩნდა ფრანგი ავტორის ეტიენ ბალიბარის წიგნი „მარქსის ფილოსოფია“, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა ელენე ლადარიამ. ასეთი სახის უცხოური გამოცემების გამოჩენა ჩვენს წიგნის ბაზარზე მოწმობს იმას, რომ თავისუფალი აზროვნება იძენს სამოქალაქო უფლებას. მიუხედავად ამისა მკითხველისთვის, რომელიც დაინტერესებულია სოციალურ-პოლიტიკური ლიტერატურით, ალბათ მოულოდნელი იყო ბეჭდვითი ლიტერატურის თაროებზე მაღალი ხარისხით დაბეჭდილი 250 გვერდიანი წიგნის გამოჩენა მარქსის შესახებ. პირველი რეაქცია ალბათ უნდა ყოფილიყო გაკვირვება და გაურკვევლობა, რადგან უკვე მეოთხედი საუკუნეა მარქსს ძალზე იშვიათად მოიხსენიებენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მარქსიზმი დავიწყებას მიეცა. მარქსის ნაშრომებისადმი ინტერესმა და ყურადღებამ საგრძნობლად იკლო. მარქსი აღარ იყო გამძაფრებული პოლემიკის ობიექტი ერთი მხრივ, მის მოწინააღმდეგეებსა და მეორე მხრივ, მის მხურვალე თაყვანისმცემლებს შორის. საბჭოთა ზესახელმწიფოს დაშლა ძალადობისა და გარედან ჩარევის გარეშე, ნათლად ადასტურებს, რომ ამ ქვეყნის მშენებლობაში ჩადებული იდეა სრულყოფილი

არ ყოფილა. სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დრამატულად განვითარებულმა ბედმა, რომელსაც ოფიციალურად „განვითარებული სოციალიზმი“ ეწოდებოდა, ავტომატურად ცხადყო მარქსიზმის თეორიული უსაფუძვლობა. ამგვარად, „მეცნიერული კომუნიზმის“ ფუძემდებლის პრესტიჟი არ არის მაღალი და მარქსის ნაშრომების შესახებ გამოცემული წიგნები პოპულარობით არ სარგებლობს. ე. ბალიბარის წიგნის გამოჩენა ეწინააღმდეგება მოთხოვნისა და მიწოდების ლოგიკას, მათ შორის ქართველი მკითხველის განწყობას.

ავტორი აღნიშნავს, რომ „როგორც კი „დიალექტიკური მატერიალიზმი“ გადააქციეს „მარქსიზმ-ლენინიზმად“ (ხოლო ბალზამირებული „ფუძემდებლის“ ნეშტი დასვენებული იქნა მოსკოვში წითელი მოედანზე მავზოლეუმში) ლენინის მოსაზრებები მრავალი კომენტარების მეშვეობით იქცა რაღაც სხვად ვიდრე ფილოსოფია: სავალდებულო საყრდენად, რომელიც ერთადერთი რამ იყო, რაც გამოხატვის უფლებისთვის კარის გაღებას წარმოადგენდა. (174გვ.) ეს ციტატა ძალზედ განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. მით უმეტეს, რომ მასში ლაკონურად გადმოცემულმა პათოსმა, ავტორს უბიძგა „პატარა წიგნში“ შეეკრიბა მასალა, რომელშიც აღწერილია საუკუნეების მანძილზე მიმდინარე პოლემიკა მარქსიზმის მიმდევართა სხვადასხვა განშტოებებს შორის კერძოდ, ფრანგული ფილოსოფიური სკოლისა და ლენინური ტრადიციის მიმდევარ საბჭოთა „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის“ მიმდევრებს შორის. თუმცა, თავად ე. ბალიბარის აზრით, არასწორია მიმდინარე დისკუსის გაყვანა მარქსისტული მსოფლმხედველობის სივრციდან და მისი მონაწილეების დაყოფა „მარქსისტების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებ-

ად“. ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად კამათის სიმწვავისა, აზრთა სხვადასხვაობა მოკამათეებს შორის მარქსის შეხედულებების ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული არ არის შემთხვევითი ნათქვამი. ის გამოხატავს წიგნის ხუთივე თავში წარმოდგენილ თანმიმდევრულ პოზიციას. ის ასევე ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ მარქსის იდეების განვითარება და დიაპაზონი, მათი ინოვაციის მასშტაბი იძლეოდა და დღესაც იძლევა წინსვლის, პერსპექტივის შესაძლებლობას. ე.ბალიბარის კვლევას ორგანულად შევყავართ მარქსის ლაბორატორიაში და არა დოგმატურად გვაცნობს მის შემოქმედებას.

წიგნის შესავალში ქართველი მკითხველისადმი მიმართვაში ავტორი აღნიშნავს, რომ „ახლა, როგორც არასდროს, საჭიროდ მიმაჩნია, მარქსიზმი გაგებული იქნეს როგორც „პრობლემატიკა“... ერთი სიტყვით, საჭიროა მარქსიზმი, რომელიც მუდმივად ახალ საფუძველზე იქნება დაფუძნებული“.

ვაჟა კეშელავა

<u>საქართველო: შიდაპოლიტიკური ქრონიკა</u>

2017 წლის იანვარი

1 იანვარი - თავიანთ საახალწლო მილოცვებში პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქვეყნის 2017 წლის პრიორიტეტებად ეკონომიკური განვითარება, დემოკრატიული წინსვლა და ტერიტორიული მთლიანობა დაასახელეს.

6 იანვარი - საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი გენერალური დირექტორი 6-წლიანი ვადით ვასილ მაღლაფერიძე გახდა მას შემდეგ, რაც ფარული კენჭისყრის შედე-

გად მასზე არჩევანი სამეურვეო საბჭოს უმრავლესობამ გაკეთა.

6 იანვარი - თბილისის ყოფილი მერი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა პატიმრობიდან გათავისუფლდა მას შემდეგ, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ მას სასჯელი დაახლოებით, 3 წლითა და 3 თვით შეუმცირა.

8 იანვარი - აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის დეველოპერულმა კომპანიამ და მისმა პარტნიორმა ქართულმა კომპანიამ „სილქ როუდ ჯგუფმა“ განაცხადეს, რომ წყდება ბათუმში დაგეგმილი 47–სართულიანი „ტრამპ თაუერის“ პროექტის განხორციელება.

12 იანვარი - ერთიან ნაციონალური მოძრაობას გამოეყო ლიდერების დიდი ნაწილი, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერების ჯგუფთან ოთხთვიანი მზარდი დაპირისპირების შემდეგ და ახალი ძალის შექმნა გამოაცხადა.

13 იანვარი - ნაციონალური მოძრაობის გაყოფიდან მეორე დღეს, ამ ოპოზიციური პარტიის სიით პარლამენტში გასული დეპუტატების უმრავლესობამ, რომლებიც ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას გეგმავენ, ნაციონალური მოძრაობის 21-წევრიანი ფრაქციის მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია გადააყენა, ფრაქციას კი სახელწოდება შეუცვალა. კერძოდ, მას ფრაქცია „ევროპული საქართველო“ ეწოდა, რომელსაც დეპუტატი სერგო რატიანი უხელმძღვანელებს, ნაციონალურ მოძრაობაში დარჩენილი ნიკა მელიას ნაცვლად.

20 იანვარი - ოპოზიციურმა ნაციონალურმა მოძრაობამ პარტიიდან ლიდერების დიდი ჯგუფის გამიჯვნის შემდეგ, ყრილობა გამართა და პოლიტსაბჭოს განახლებუ-

ლი შემადგენლობა დაამტკიცა, რომელსაც დეპუტატი ნიკა მელია ჩაუდგა სათავეში.

23 იანვარი - მმართველმა პარტიამ, ქართულმა ოცნებამ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მისი გუნდის წევრი, მოქმედი დეპუტატი მანანა კობახიძე დაასახელა.

23 იანვარი - ნაციონალურ მოძრაობაში განხეთქილების შედეგად პარტიაში დარჩენილმა 6 დეპუტატმა პარლამენტში ახალი ფრაქცია შექმნა.

24 იანვარი - პრეზიდენტმა მარგველაშვილმა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ სახელწოდებით ცნობილი საკანონმდებლო **ცვლილებების პაკეტის** ცალკეულ დებულებებს, რომლებიც მისი შეფასებით, მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპებს ეწინააღმდეგება, ვეტო დაადო, თუმცა ასევე მიესალმა „ბევრ სასარგებლო“ ცვლილებას, რომელსაც პარლამენტის მიერ ხანგძლივი განხილვის შემდეგ დეკემბრის ბოლოს მიღებული ეს პაკეტი მოიცავს.

25 იანვარი - გამოქვეყნდა საერთაშორისო გამჭირვალობის ყოველწლიური კვლევა „კორუფციის აღქმის ინდექსი“, რომელშიც საქართველოს მაჩვენებელი მცირედით გაუმჯობესდა.

25 იანვარი - ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა წევრებმა, რომელთაც ეს ოპოზიციური პარტია დატოვეს და ახლა თავიანთ ახალ პოლიტიკურ პლატფორმად პარტია „ევროპულ საქართველოს“ იყენებენ, ევროპის სახალხო პარტიას (EPP), რომელიც ევროპარლამენტში უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენს, დამკვირვებელ წევრად მიღების თხოვნით მიმართეს.

27 იანვარი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ე.წ. კაბელების გახმაურებულ საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით მსჯავრდებული თავდაცვის სამინისტროს ხუთი ყოფილი თანამშრომელი შეიწყალა.

2017 წლის თებერვალი

1 თებერვალი - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ **გაყოფის** შემდეგ პარტიამ საქართველოს მასშტაბით არსებულ საკრებულოებში 276 წევრიდან 35 დაკარგა.

3 თებერვალი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბათუმში რეფადინ შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმის, რომელიც ფეთჰულაჰ გიულენთან ასოცირებული ჩაღლარის საგანმანათლებლო ინსტიტუტების ქსელში შედის, და-ხურვის გადაწყვეტილება მიიღო.

6 თებერვალი - პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს დეპუტატის, მანანა კობახიძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

6 თებერვალი - სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა რეგიონის სახელწოდების „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა - ალანიას სახელმწიფოდ“ გადარქმევის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ განკარგულებას მოაწერა ხელი - რეფერენდუმი 2017 წლის 9 აპრილს, ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად გაიმართება.

7 თებერვალი - საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახლად არჩეულმა გენერალურმა დირექტორმა, ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ რადიო და ტელე მაუწყებლობის ყველა პროგრამის დახურვა იგეგმება და ამის მოტივად საზოგადოებრივი მაუწყებლის დაბალი ყურადობა დაასახელა.

8 თებერვალი - სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ ცხინვალის რაიონის სოფელ დისევის მკვიდრს გიორგი გიუნაშვილს 20-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. გიორგი გიუნაშვილი 2016 წლის ივნისში დააკავეს „დივერსიული და ტერორისტული საქმიანობის ბრალდებით“.

8 თებერვალი - პარლამენტმა 8 თებერვალს 101 ხმით 10-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს დეპუტატის, მანანა კობახიძის კანდიდატურას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე.

9 თებერვალი - საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის რამდენიმე „პრობლემური საკითხი“ აღნიშნა და საქართველოს ხელისუფლებას მისი გადახედვისკენ მოუწოდა.

10 თებერვალი - პარლამენტმა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ სახელწოდებით ცნობილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად საქმეების ელექტრონული გადანაწილების სისტემის დანერგვას ითვალისწინებს, პრეზიდენტის ვეტო 97 ხმით დაძლია.

13 თებერვალი - საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, რომ პროკურატურამ დეკანოზი გიორგი მამალაძე, რომელსაც მომწამვლელი ნივთიერება გადაჰქონდა, გერმანიაში გამგზავრებამდე დააკავა. მას ბრალად დაედო „მაღალი სასულიერო იერარქის“ მკვლელობის მცდელობაში.

19 თებერვალი - თბილისში პარლამენტის შენობის წინ „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერთა აქცია გაიმართა.

19 თებერვალი - თავისუფალმა დემოკრატებმა მეხუთე ყრილობა გამართეს. პარტიის ახალი თავმჯდომარე გახდა შალვა შავგულიძე.

19 თებერვალი - სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვის მიზნით ენგურის ჰიდროელექტროსადგური დროებით გაჩერდა.

20 თებერვალი - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა.

<u>საქართველო: საგარეოპოლიტიკური ქრონიკა</u>

2017 წლის იანვარი

1-2 იანვარი - ამერიკელი სენატორები, რესპუბლიკელები ჯონ მაკკეინი, ლინდსი გრემი და დემოკრატი ემი კლობუჩარი საქართველოს ესტუმრნენ და ქვეყნის ხელმძღვანელობასთან და ოპოზიციის წარმომადგენლებთან გამართეს მოლაპარაკებები.

9-10 იანვარი - ისრაელის პრეზიდენტი რუვენ რივლინი საქართველოში ვიზიტის დროს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და პრემიერ–მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა.

10 იანვარი - საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მკაცრად დაგმო სამხედრო პოლიგონის მოწყობის მიზნით რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ სეპარატისტულ აფხაზეთში მე-19 საუკუნის ეკლესიისა და პოლონელთა სასაფლაოს დანგრევა, როგორც „შეგნებულად განხორციელებული ვანდალიზმის აქტი“ და საერთაშორისო თანამეგობრობას „შესაბამისი რეაგირებისკენ“ მოუწოდა

10 იანვარი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე თურქეთში ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტ რეჯეფ ტაიპ ერდოღანს, პრემიერ-მინისტრ ბინალი ილდირიმს და თავის თურქ კოლეგას მევლუთ ჩავუშოღლუს შეხვდა.

11 იანვარი - ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით საქართველოს მთავრობამ „გაზპრომთან“ სატრანზიტო ხელშეკრულების შეცვლილი პირობებით გაფორმების თაობაზე "ოპტიმალური" გადაწყვეტილება მი-

იღო, რაც გულისხმობს ხელშეკრულების მოქმედების პირველ წელს სომხეთში რუსული გაზის ნაწილობრივ კვლავ ნედლეულით ანაზღაურების ფორმის შენარჩუნებას, რაც შემდეგ ფულადი ანგარიშსწორების ფორმით გაგრძელდებაგანაცხადა.

11 იანვარი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე თეირანში თავის ირანელ კოლეგას მუჰამედ ჯავად ზარიფს შეხვდა, ირანში ვიზიტის მიზანს 1989-1997 წლებში ირანის პრეზიდენტის აიათოლა აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სამგლოვიარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენდა.

12 იანვარი - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი საქართველოს ხანმოკლე ვიზიტით ეწვია, როცა მისმა თვითმფრინავმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში "ტექნიკური დაშვება" განახორციელა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა შეხვედრა გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან დავით ზალკალიანთან.

12 იანვარი - ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლების, მართლმსაჯულების და საშინაო საკითხების კომიტეტმა (LIBE) მხარი დაუჭირა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის თაობაზე ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს შორის მიღწეულ შეთანხმებას.

17 იანვარი - ევროპის საბჭოს ანტიკორუფციულმა ორგანომ - სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც აღიარებს საქართველოს მიერ „კორუფციის შემცირების მხრივ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს“, თუმცა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას განაგრძოს პარლამენტარებს,

მოსამართლეებსა და პროკურორებს შორის კორუფციის დონის შემცირებისაკენ მიმართული რეფორმები.

17 იანვარი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძე ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს შეხვდა, რის შემდეგაც მათ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაში მიიღეს მონაწილეობა.

17 იანვარი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ რუსულ კომპანია „გაზპრომთან“ დაგეგმილი შეთანხმება, რომელიც ტრანზიტით სომხეთში გატარებული ბუნებრივი აირის საფასურის მონეტიზაციას გულისხმობს, აუარესებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას და აზიანებს საქართველოს ინტერესებს.

18 იანვარი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თავის ესპანელ კოლეგას მარიანო რახოის მადრიდში ვიზიტის ფარგლებში შეხვდა. მარიანო რახოიმ შეხვედრისას ესპანეთის „მზარდი ინტერესი“ გამოხატა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონის მიმართ.

19 იანვარი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოს დავოსში შეხვდა, სადაც მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში იღებენ მონაწილეობას.

20 იანვარი - ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიომ საქართველოში დაგეგმილ საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით თბილისში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა.

22 იანვარი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დონალდ

ტრამპს აშშ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილების დაწყება მიულოცეს

26 იანვარი - კიევის პროკურატურამ შეწყვიტა ყოფილი ქართველი სამხედროს, გიორგი ცერცვაძის წინასწარი პატიმრობა, რომელიც სავარაუდო მკვლელობის ბრალდებით რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნის შედეგად ინტერპოლის მიერაა ძებნილი და რომლის დაკავებასაც უკრაინის ხელისუფლების მიერ მწვავე რეაგირება მოყვა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში.

30 იანვარი - ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ–მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს და პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს შეხვდა.

31 იანვარი - ქართული ოცეული დაახლოებით 30 სამხედროს შემადგენლობით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრა, სადაც ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიას - EUTM RCA 6 თვის განმავლობაში შეასრულებს.

2017 წლის თებერვალი

2 თებერვალი - ევროპარლამენტმა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის თაობაზე საკანონმდებლო წინადადებას მხარი დაუჭირა, რის შედეგადაც ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ, თუმცა მათი იქ ყოფნა 180 დღიან პერიოდში ჯამში 90 დღეს არ უნდა აჭარბებდეს. ვიზალიბერალიზაციას ევროპარლამენტის 553-

მა წევრმა დაუჭირა მხარი, 66 წინააღმდეგ წავიდა, ხოლო 28 პარლამენტარმა თავი შეიკავა

2-3 თებერვალი - ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ავსტრიის რესპუბლიკის ევროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი სებასტიან კურცი საქართველოს სტუმრობდა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს შეხვდა

2-3 თებერვალი - სოხუმი და ცხინვალი ვიზალიბერალიზაციის შესახებ თბილისის შემოთავაზებაზე უარი განაცხადეს.

4 თებერვალი - სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში განთავსებული რუსული სამხედრო ძალების „საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს დონეზე“ მოყვანა ხორციელდება. მათი ინსპექტირება სამხრეთის სამხედრო ოლქის მეთაურმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრე დვორნიკოვმა განახორციელა.

7 თებერვალი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე პრაღაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს შეხვდა იმ არაფორმალური პირდაპირი ორმხრივი დიალოგის ფარგლებში, რომელსაც ორ ქვეყანას შორის 2012 წლის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი.

8 თებერვალი - პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცხინვალის რეფერენდუმთან დაკავშირებით მოსკოვი გააკრიტიკეს.

9 თებერვალი - სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლებენ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლით, თუ

ისინი საქართველოს მოქალაქეობას მიიღებენ, განუცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა

12 თებერვალი - ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე ახალ სახელმწიფო მდივანს, რექს ტილერსონს შეხვდა.

23-24 თებერვალი - სომხეთის პრემიერ-მინისტრი კარენ კარაპეტიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ესტუმრა და ქვეყნის ლიდერებთან ორმხრივი ურთიერთობების და რეგიონული თანამშრომლობის საკითხები განიხილა.

27 თებერვალი - ევროკავშირის საბჭომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციაზე რეგულაცია დაამტკიცა. საქართველოს მოქალაქეებს 90 დღით შენგენის ზონაში უვიზოდ ყოფნის საშუალება ექნებათ.

28 თებერვალი - საქართველოს მთავრობამ უარყო აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე რუსეთთან მოლაპარაკებები.

<u>ისტორიული ფრაზები</u>

დადგა დრო, როდესაც ბევრი რამის მსხვერპლად გაღებაა საჭირო, იმისათვის, რომ ყველაფერი გადავარჩინოთ

ხალხისადმი მოწოდება, 1794 წ. 24 სექტემბერი

ტადეუშ კოსტიუშკო (1746-1817)

პოლონეთის 1794 წ. აჯანყების ხელმძღვანელი

პესიმიზმი - ის ფუფუნებაა, რის უფლებასაც ებრაელები თავს ვერ მისცემენ

„ობსერვერი“, 1974 წ. 29 დეკემბერი

გოლდა მეირი (1898-1978)

1966-1974 წლებში ისრაელის პრემიერ-მინისტრი

ყოველ ხალხს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც იმსახურებს.

წერილი კავალერ დე როსის, 1811 წ. 27 აგვისტო (გამოქვეყნდა 1851 წ.)

ჟოზეფ დე მესტრი (1753-1821)

ფრანგი მოაზროვნე, პიემონტელი დიპლომატი

„მესამე მსოფლიო“

1952 წ. 14 აგვისტოს გამოქვეყნებული სტატიიდან. გამოთქმა ჩამოყალიბებულია „მესამე წოდების“ ანალოგიურად. სოვი „მესამე მსოფლიოს“ მიაკუთვნებდა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, განსხვავებით მაღალგანვითარებული დასავლეთისგან („პირველი მსოფლიო“) და აღმოსავლეთ ევროპისგან („მეორე მსოფლიო“). ეს გამოთქმა ფართოდ გავრცელდა ჟორჟ ბალანდიეს წიგნის „მესამე მსოფლიო“ (1956) გამოსვლის შემდეგ.

ალფრედ სოვი (1898-1990)

ფრანგი ეკონომისტი

<u>მსოფლიო ციფრებში</u>

მსოფლიოში რომ მხოლოდ 100 ადამიანი ცხოვრობდეს

წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიო მოსახლეობის (7 მილიარდზე მეტი) მასშტაბები 100 ადამიანამდე შემცირდეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ყველა პროპორცია დაცული იყოს, მაშინ:

57 ადამიანი აზიაში იცხოვრებდა, 21 ევროპაში, 14 ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, 8 აფრიკაში.

100-დან 52 ქალი იქნებოდა, 48 მამაკაცი

100-დან მხოლოდ 6 ადამიანი იქნებოდა მსოფლიოს სიმდიდრის 59%-ის მფლობელი და ყველა მათგანი აშშ-ის მოქალაქე იქნებოდა.

მხოლოდ 30 თეთრკანიანი და 70 კი ფერადკანიანი.

30 ქრისტიანი 70 სხვა აღმსარებლობის

70 ადამიანს არ ეცოდინებოდა კითხვა

100-დან მხოლოდ ერთ ადამიანს ექნებოდა უმაღლესი განათლება

25 ადამიანს დღეში 1 დოლარი ექნებოდა შემოსავალი, 50-ს კი 2 დოლარი

80 ადამიანი ღატაკი იქნებოდა, მათგან 60 - უსახლკარო

100-დან 50 ადამიანი იშიმშილებდა, დღე-ღამეში 1 ადამიანი შიმშილით მოკვდებოდა

100 ადამიანიდან მხოლოდ 1 იქნებოდა ისეთი, რომელსაც შეეძლებოდა თავისი რელიგიური გრძნობების ღიად გამოხატვა და ამის გამო დევნა-შევიწროებას არ განიცდიდა

100-დან მხოლოდ 1 ადამიანს ექნებოდა კომპიუტერი

100-დან 33-ს არ ექნებოდა სუფთა წყალი, 24-ს - ელექტროენერგია.

თუ მაცივარში ცოტაოდენი პროდუქტი მაინც მოგეპოვება, თავზე სახურავი გაქვს და არ გცივა, უფრო მდიდარი ხარ, ვიდრე მსოფლიოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი.

თუ ბანკში მცირე ანგარიში და საფულეში სახარჯო ფული მაინც გაქვს, შენ პლანეტის მოსახლეობის შემლებულ 8%-ს მიეკუთვნები.

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი გამოსაქვეყნებლად მიიღებს 3000 სიტყვამდე მოცულობის ტექსტს. ჟურნალში წარმოდგენილი სტატია გაივლის რეცენზირებას. სტატია უნდა იყოს ორიგინალური კვლევის შედეგი, დაუშვებელია კომპილაცია და ავტორის კვლევასა და შეხედულებებს მოკლებული ტექსტები. რედაქციაში შემოსული სტატია არ უნდა იყოს სხვა ჟურნალში გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად წარდგენილი. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, სტატია ავტომატურად იხსნება განხილვიდან და ავტორის მიერ წარმოდგენილი ტექსტები შემდგომშიც აღარ მიიღება.

გაფორმება

სტატია მომზადებული უნდა იყოს ქართულ ენაზე და გაფორმებული ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) ციტირების სტილით. ნაშრომს უნდა ახლდეს აბსტრაქტი (150-200 სიტყვის მოცულობით), როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ტექსტს უნდა ერთვოდეს ნაშრომის თემატიკის ამსახველი ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა.ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (.doc გაფართოებით). ფაილის სახელწოდება უნდა იყოს ავტორის გვარი, ტექსტი იკრიფება AcadNusx გარნიტურის გამოყენებით (ინგლისური ტექსტის ნაწილში კი Times New Roman-ში),

სტრუქტურა

ნაშრომის პირველ გვერდზე აღნიშნული უნდა იყოს სტატიის სათაური, ავტორის სახელი და გვარი, სტატუსი, საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისა-

მართი, ტელეფონის ნომერი და ნაშრომის გამოგზავნის თარიღი.

სტატიას წინ უნდა უძღვოდეს აბსტრაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 150-200 სიტყვას. იგი უნდა ასახავდეს კვლევის მიზანს, შედეგებსა და დასკვნებს. აბსტრაქტს უნდა ერთვოდეს ოთხი ან ხუთი საკვანძო სიტყვა, რომელიც ეხება საკვლევ თემას. დაუშვებელია საკვანძო სიტყვებად აბრევიატურის გამოყენება. სტატიის შესავალი უნდა აჯამებდეს საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებულ კვლევებს და აღწერდეს საკვლევ პრობლემას. ლიტერატურის მიმოხილვას არ უნდა ჰქონდეს აღწერითი ხასიათი და კრიტიკულად უნდა აანალიზებდეს შესაბამის ლიტერატურეს. სტატიაში ავტორმა უნდა ისაუბროს მის მიერ შერჩეული კვლევის მეთოდის შესახებ.